ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ "საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა"

და

სსიპ "დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას"

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა“
და
სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის

ერთი მხრივ, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, წარმოდგენილი მისი რექტორის, პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი), წარმოდგენილი - მისი რექტორის, ჯემალ ძაგანიას სახით (შემდგომში - მხარეები) აღიარებენ რა ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მნიშვნელობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოებისათვის, თანხმდებიან თანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური აღზრდის სფეროში ჩართული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

2. მემორანდუმის ამოცანები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) განახორციელონ აკადემიის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგ-ინსტრუქტორებისათვის ცოდნის დონის ამაღლების, ფიზიკური აღზრდის პროცესის დაგეგმვისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებები;

ბ) ხელი შეუწყონ აკადემიასა და უნივერსიტეტს შორის პერიოდული ურთიერთობის უზრუნველყოფას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობას;

გ) უზრუნველყონ უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიის იუნკერებს/მსმენელებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული უნარ-ჩვებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

დ) განახორციელონ უნივერსიტეტისა და აკადემიის ბაზაზე ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარება;

ე) განახორციელონ აკადემიის იუნკერთა/მსმენელთა და უნივერსიტეტის სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები უნივერსიტეტისა და აკადემიის სასწავლო ბაზაზე;

ვ) უზრუნველყონ უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობის სტუდენტთა სტაჟირება;

ზ) უზრუნველყონ აკადემიის ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორებისათვის ისეთი საკითხების გაცნობა, როგორიცაა საწვრთნელი პროცესის დაგეგმვა, კონტროლი და მართვა, თანამედროვე აღდგენითი საშუალებების გამოყენების ფორმები;

თ) განახორციელონ აკადემიის პედაგოგებისათვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კურსის

3. დასკვნითი დებულებები

ა) მემორანდუმის საფუძველზე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება უნივერსიტეტსა და აკადემიას შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა ან გაუქმება მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

გ) თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;

დ) მხარეები ოფიციალური კომუნიკაციისათვის იყენებენ შემდეგ მისამართებს:

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ - საქართველო, ქ. თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49, ტელეფონი: +995 32 2250040 ; ვებგვერდი - www.sportuni.ge; ელექტრონული ფოსტა info@sportuni.ge. სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“ - საქართველო, ქ.გორი 1400, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი, ტელეფონი: +995 322305285; ვებგვერდი www.eta.edu.ge; ელექტრონული ფოსტა -nda@mod.gov.ge;

ე) წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

ვ) მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე;

ზ) მხარეები უფლებამოსილი არიან წერილობითი ურთიერთშეთანხმებით გააუქმონ მემორანდუმი.

მხარეთა ხელმოწერები

სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის“ რექტორი	სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი
პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე	პროფესორი

ძაგანია |

ქ. გორი 18 აგვისტო 2017 წელი